



ფინანსური აუდიტის ანგარიში





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და
უსაფრთხოების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
სოფიო დვალიშვილი

15. გ. გ. გ.

22 აპრილი 2019 წელი

N 46/36

ეგზ.: N1

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს
2018 წლის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების აუდიტი

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	1
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	2
	დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე	3
	1. უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები	4
	2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები	18
	3. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა	22
დანართები	ფინანსური ანგარიშგების ფორმები	24
	საკონტაქტო ინფორმაცია	29

ტერმინები და შემოკლებები

ანგარიშგება – კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება;

აღსრულების ეროვნული ბიურო – სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიურო;

ბილინგვის სისტემა – სერვისების სააგენტოს და საჯარო რეესტრის სააგენტოს ელექტრონული სისტემა, სადაც ცენტრალიზებულად ხდება კლიენტების მიერ მომსახურების საფასურის გადახდა და აღრიცხვა;

დანაშაულის პრევენციის ცენტრი – სსიპ – დანაშაულის პრევენციის ცენტრი;

ეროვნული არქივი – სსიპ – საქართველოს ეროვნული არქივი;

იუსტიციის სასწავლო ცენტრი – სსიპ – იუსტიციის სასწავლო ცენტრი;

იუსტიციის სახლი – სსიპ – იუსტიციის სახლი;

მონაცემთა გაცვლის სააგენტო – სსიპ – მონაცემთა გაცვლის სააგენტო;

პენიტენციური სისტემის სასწავლო ცენტრი – სსიპ – პენიტენციური და პრობაციის სისტემის მოსამსახურეთა მომზადების ცენტრი;

პრობაციის სააგენტო – სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების და პრობაციის ეროვნული სააგენტო;

სააღრიცხვო ინსტრუქცია – საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“;

საკანონმდებლო მაცნე – სსიპ – საკანონმდებლო მაცნე;

სამინისტრო – საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

საჯარო რეესტრის სააგენტო – სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;

სერვისების სააგენტო – სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო;

„სმართ ლოჯიკი“ – სსიპ „სმართ ლოჯიკი“.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად უზრუნველყოფს ეროვნული კანონმდებლობის განვითარებასა და სრულყოფას, ხელს უწყობს დემოკრატიული ღირებულებების დაცვას და კანონიერების განმტკიცებას. სამინისტროს საქმიანობის სფეროებია: სამართალშემოქმედება, კანონმდებლობის ჰარმონიზაცია და საზოგადოების მართლშეგნების ამაღლება.

2018 წელს სამინისტროს შეუერთდა გაუქმებული სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს უფლებამონაცვლე – სპეციალური პენიტენციური სამსახური, სსიპ-არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების და პრობაციის ეროვნული სააგენტო და სსიპ – პენიტენციური და პრობაციის სისტემის მოსამსახურეთა მომზადების ცენტრი, ხოლო მანამდე სამინისტროს მმართველობის სფეროში მყოფი საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს მთავარი პროკურატურა ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ სტრუქტურად. სამინისტროს მმართველობის სფეროშია 12 საჯარო სამართლის იურიდიული პირი და ერთი საქვეუწყებო დაწესებულება, რომელთა დაფინანსების წყაროებია: სახელმწიფო ბიუჯეტი და საკუთარი შემოსავლები.

ცხრილი N1: ინფორმაცია სამინისტროს 2018 წლის დამტკიცებული და დაზუსტებული საბიუჯეტო სახსრების და ფაქტობრივად გაწეული ხარჯების შესახებ (ათასი ლარი)

დასახელება	დამტკიცებული	დაზუსტებული	% სხვაობა	საკასო
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ¹	177,000	196,796	11%	195,905
მომუშავეთა რიცხოვნობა	5,212	-		-
ხარჯები	150,048	168,766	12%	168,019
შრომის ანაზღაურება	79,010	74,321	-6%	74,224
არაფინანსური აქტივების ზრდა	26,952	28,030	4%	27,886

ცხრილი N2: ინფორმაცია ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების² გადანაწილების შესახებ (ათასი ლარი)

საბალანსო ერთეულის დასახელება	195,905	100%
სამინისტროს აპარატი	28,298	14.44%
სპეციალური პენიტენციური სამსახური	143,434	73.22%
სსიპ – პრობაციის ეროვნული სააგენტო	5,390	2.75%
სსიპ – საქართველოს ეროვნული არქივი	4,853	2.48%
სსიპ – იუსტიციის სახლი	4,101	2.09%
მიწის ბაზრის განვითარება (WB პროექტი)	2,700	1.38%
სსიპ – მონაცემთა გაცვლის სააგენტო	2,300	1.17%
სსიპ – იუსტიციის სასწავლო ცენტრი	1,633	0.83%
სსიპ – დანაშაულის პრევენციის ცენტრი	1,440	0.74%
სსიპ – პენიტენციური და პრობაციის სისტემის მოსამსახურეთა მომზადების ცენტრი	844	0.43%
სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	592	0.30%
სსიპ – „სმარტ ლოჯიკი“ ³	320	0.16%
სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	-	-
სსიპ – საკანონმდებლო მაცნე	-	-
სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიურო	-	-

¹ მოიცავს 2018 წელს გაუქმებულ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ასიგნებებს, არ მოიცავს მთავარ პროკურატურას, რომელიც ცალკე მხარჯავა დაწესებულებად ჩამოყალიბდა.

დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

უარყოფითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ფინანსური შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ასევე მათთან დაკავშირებულ კონსოლიდირებულ დანართებს⁴ მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

ჩვენი აზრით, უარყოფითი მოსაზრების საფუძვლების აბზაცში აღწერილი საკითხების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის მნიშვნელობის გამო, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად არ ასახავს სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების“ ინსტრუქციის შესაბამისად.

² ფინანსური ანგარიშგების ფორმა N2-ის მიხედვით, გარდა ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსებისა, შემოსავლებმა შეადგინა 138,626.08 ათასი ლარი.

³ სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, სსიპ – საკანონმდებლო მაცნეს და სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიუროს ბიუჯეტი მთლიანად საკუთარი სახსრებიდან ფორმირდება.

⁴ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანების დანართები 1-დან 13-ის ჩათვლით.

1. უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები

1.1 ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაცია

სააღრიცხვო ინსტრუქციის⁵ მოთხოვნების შესაბამისად, კონსოლიდაციის დროს ეკონომიკურ ერთეულში შემავალი ერთეულების ნაშთები და მათ შორის განხორციელებული ოპერაციები მთლიანად უნდა გამოირიცხოს და ანგარიშგება მომზადდეს ამ ოპერაციების და ნაშთების გარეშე.

შესაბამისი კონტროლის მექანიზმების არარსებობის გამო, ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაციისას, სამინისტროს მიერ არ ხდება სისტემაში შემავალ ერთეულებს შორის ოპერაციებისა და ნაშთების ელიმინირება (გამორიცხვა). კერძოდ, არ არის ელიმინირებული სამინისტროს დაქვემდებარებულ უწყებებს შორის განხორციელებული ოპერაციები, ღირებულებით – 42,805.35 ათასი ლარი და წლის ბოლოს არსებული მოთხოვნა/ვალდებულებების ნაშთები, შესაბამისად, 175.58 ათასი და 178.90 ათასი ლარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემოსავლები და ხარჯები გაზრდილია 42,805.35 ათასი ლარით, ხოლო მოთხოვნების და ვალდებულებების საბოლოო ნაშთები, შესაბამისად, 175.58 ათასი და 178.90 ათასი ლარით.

1.2 წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

2015 წლის 21 ივლისს იუსტიციის სახლს სამინისტროს აპარატისგან გადაეცა 17,318.60 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების მიწა,⁶ თუმცა 2015 წლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღნიშნული ოპერაცია აისახა ცალმხრივად – მხოლოდ სამინისტროს აპარატის მიერ, როგორც კაპიტალური გრანტის ხარჯი. იუსტიციის სახლის მიერ აქტივის მიღების ოპერაცია არ ასახულა საბუღალტრო აღრიცხვის სამმართველოსთვის დოკუმენტაციის მიუწოდებლობის გამო. აღნიშნულის მიზეზითაა ასევე ის, რომ საბალანსო ერთეულებს შორის პერიოდული ურთიერთშეძარება არ ხორციელდება. აქტივის მიღება კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახულია 2018 წელს. ასევე კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებაში წმინდა ღირებულება გაზრდილია სხვა არასაოპერაციო შემოსავლების მუხლთან კორესპონდენციით და არა – წინა პერიოდ(ებ)ის შეცდომების კორექტირების გზით.

ანალოგიურად, **ეროვნული არქივის** მიერ ძირითად აქტივებთან დაკავშირებული წინა პერიოდის შეცდომები შესწორებულია 2018 წელს და აქტივები და არასაოპერაციო შემოსავლები გაზრდილია 1,358.14 ათასი ლარით. სამინისტროს მიერ არ მომხდარა აღნიშნული შეცდომების რეტროსპექტულად გასწორება, სააღრიცხვო ინსტრუქციის შესაბამისად.⁷

შედეგად, ფინანსურ ანგარიშგებაში გრძელვადიანი აქტივების და წმინდა ღირებულების საწყისი ნაშთები წარმოდგენილია 18,676.75 ათასი ლარით შემცირებული ღირებულებით, ამავდროულად გაზრდილი არასაოპერაციო შემოსავლების მუხლი კაპიტალში ცვლილების შესახებ ანგარიშგებაში (ფორმა N4).

⁵ სააღრიცხვო ინსტრუქცია, მუხლი 39, პუნქტი 30.

⁶ თბილისი, სანაპიროს ქ. N2, ფართი – 28,145 კვ.მ.

⁷ სააღრიცხვო ინსტრუქცია, მუხლი 14, პუნქტი 10.

1.3 ქონების ინვენტარიზაცია

სამინისტროს საბალანსო ერთეულების უმრავლესობაში 2018 წელს ქონების ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა ან არასრულად ჩატარდა, კერძოდ:

) **სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში** 2018 წლის აპრილში ინვენტარიზაცია დაიწყო მხოლოდ ცენტრალურ საწყობში. საინვენტარიზაციო კომისიის მიერ გამოვლენილია 915.05 ათასი ლარის ფასეულობათა დანაკლისი⁸ და შემდგომი რეაგირების მიზნით მასალები ამავე წლის ივლისში გადაგზავნილია სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტისთვის. თუმცა ამ უკანასკნელმა, იმ მოტივით, რომ ინვენტარიზაცია ჩატარდა მხოლოდ სასაწყობო სამმართველოში და აღნიშნული ვერ უზრუნველყოფდა მატერიალური აქტივების სრულად მოძიებას, მიიჩნია, რომ საჭირო იყო სრული სტრუქტურული ინვენტარიზაცია. მასალები შემდგომი რეაგირების მიზნით გადაგზავნილია სამსახურის გენერალურ დირექტორთან. დანაკლისების მიზეზების დასადგენად, ამ ეტაპზე ინფორმაცია სამართალდამცავი ორგანოებისთვის არ არის გადაცემული;⁹

) **აღსრულების ეროვნულ ბიუროში** არც 2018 წელს და არც წინა ორი საანგარიშო წლის განმავლობაში არ ჩატარებულა უძრავი ქონების (შენობა-ნაგებობები და მიწა) ინვენტარიზაცია;

) ინვენტარიზაცია არ არის ჩატარებული **სამინისტროს აპარატში, „სმართ ლოჯიკში“, პრობაციის სააგენტოში, საჯარო რეესტრის სააგენტოსა და იუსტიციის სასწავლო ცენტრში;**

) ინვენტარიზაცია ნაწილობრივ განხორციელდა **ეროვნულ არქივში**, კერძოდ, ჩატარებულია ფაქტობრივი აღწერა, თუმცა შედეგები არ არის ასახული 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში;

) იუსტიციის სახლში 2018 წლის დეკემბერში დაწყებული ინვენტარიზაცია ჯერ არ არის დასრულებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ არის დაცული კანონმდებლობის მოთხოვნები.¹⁰ ამასთანავე, ვერ ვრწმუნდებით 2018 წლის 1 იანვარსა და 31 დეკემბერს, შესაბამისად, 65,000.67 ათასი და 63,792.91 ათასი ლარით ასახული მარაგების, გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების, მანქანა-დანადგარების/ინვენტარის და არამატერიალური აქტივების არსებობასა და სისრულეში.¹¹ სამინისტროს განმარტებით, სამინისტროში დაწყებულია ინტენსიური სამუშაოები აღნიშნული ნაკლოვანების გამოსასწორებლად.

⁸ ობიექტის განმარტებით, აღნიშნული დანაკლისი წარმოადგენდა 2016 წელს ჩატარებული გამოძიების შედეგად უკანონოდ მითვისებულ მარაგებს, 232.09 ათას ლარის ოდენობით, ასევე სხვადასხვა დასახელების, ძირითადად, წინა პერიოდებში მიღებულ სასაქონლო-მატერიალურ მარაგებს.

⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N 605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების და მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაციის შესახებ“, მუხლი 13, პუნქტი 2.

¹⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N 605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების და მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაციის შესახებ“.

¹¹ დანარჩენი კატეგორიის აქტივებზე ჩავატარეთ ალტერნატიული პროცედურები.

1.4 შემოსავლები

1.4.1 საქონლის და

მომსახურების რეალიზაცია

ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგების მიხედვით, 2018 წელს სერვისების სააგენტოსა და საჯარო რეესტრის სააგენტოს მიერ მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები 93,380.84 ათას ლარს შეადგენს.

მომსახურების გაწევის დაწყებამდე, მომხმარებელთა მიერ მომსახურე ბანკებში გადახდილი თანხები აღირიცხება ბილინგის სისტემაში. სამუშაო დღის განმავლობაში მომხმარებელთა მიერ გადახდილი თანხა ბანკების მიერ გადაირიცხება ხაზინის შესაბამის ანგარიშზე.

შემოსავალი არ აღიარდება ბილინგის სისტემის მიხედვით, რომელიც რეალურად ასახავს განხორციელებულ ოპერაციებს. აღრიცხვა ხორციელდება საკასო მეთოდით, ხაზინის ელექტრონულ პროგრამაში ასახული თანხების მიხედვით.

ხშირ შემთხვევაში, წინა საანგარიშო პერიოდის დეკემბერში გადახდილი თანხები ხაზინის ელექტრონულ პროგრამაში მომდევნო წლის იანვარში აისახება. აუდიტის შედეგად, ხაზინის ელექტრონულ პროგრამაში იდენტიფიცირებულია 2017 წლის 308.35 ათასი¹² და 2018 წლის – 148.75 ათასი ლარის¹³ შემოსავლის ტრანზაქცია, რომლებიც ასახულია, შესაბამისად, 2018 და 2019 წლებში. გამომდინარე აქედან, შემოსავლების აღიარება არ ხდება შესაბამის საანგარიშო პერიოდში.

სააგენტოებში არ არსებობს შესაბამისი სისტემა, რომლის მეშვეობითაც ინტეგრირებული იქნება მომხმარებლის მიერ წინასწარ გადახდილი საფასურების და ფაქტობრივად გაწეული მომსახურებების შესახებ ინფორმაცია, რამაც, თავის მხრივ, უნდა უზრუნველყოს შემოსავლების დარიცხვის მეთოდით აღრიცხვა¹⁴ და შექმნას კონტროლის მექანიზმი იმ მიზნით, რომ სააგენტოები დარწმუნდნენ მიღებული შემოსავლების სისრულეში.

სამინისტროს განმარტებით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაწყებულია სამუშაოები IT დეპარტამენტის ჩართულობით.

1.4.2 შემოსავალი

საკუთრებიდან – საპროცენტო შემოსავლები

2018 წელს სამინისტროს ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებაში „შემოსავალი საკუთრებიდან“ მუხლით შემოსავალი შეადგენს 15,034.52 ათას ლარს, რაც წარმოადგენს საბანკო დეპოზიტებზე განთავსებულ თანხებზე დარიცხულ საპროცენტო სარგებელს. სხვადასხვა სსიპ-ში აღნიშნული შემოსავალი არ არის აღიარებული შესაბამის საანგარიშო პერიოდში, სააღრიცხვო ინსტრუქციის შესაბამისად,¹⁵ ვინაიდან ხშირ შემთხვევაში საპროცენტო სარგებლის ყოველთვიური ჯამური თანხის ჩარიცხვა ბანკების მიერ ხდება მომდევნო თვის დასაწყისში, კერძოდ:

აღსრულების ეროვნული ბიუროს და საჯარო რეესტრის სააგენტოს
2017 წლის დეკემბერში დარიცხული შემოსავალი, ჯამური თანხით – 574.46 ათასი ლარი,¹⁶ აღიარებულია 2018 წლის იანვარში;

¹² 249.57 ათასი ლარი – სერვისების სააგენტო, 58.78 ათასი ლარი – საჯარო რეესტრის სააგენტო.

¹³ 93.23 ათასი ლარი – სერვისების სააგენტო, 55.52 ათასი ლარი – საჯარო რეესტრის სააგენტო.

¹⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 3 ნოემბრის N701 ბრძანების „საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის სამოქმედო გეგმის მტკიცების შესახებ“.

¹⁵ სააღრიცხვო ინსტრუქცია, მუხლი 155, პუნქტი 23.

¹⁶ აღსრულების ეროვნული ბიურო – 461.99 ათასი ლარი, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო – 112.47 ათასი ლარი.

აღსრულების ეროვნული ბიუროს და ეროვნული არქივის 2018 წლის დეკემბერში დარიცხული და 2019 წლის იანვარში ჩარიცხული თანხა, ჯამურად 86.30 ათასი ლარი,¹⁷ არ არის აღიარებული შემოსავლად 2018 წელს.

შედეგად, „ფინანსური შედეგების შესახებ“ ანგარიშგებაში მუხლი „შემოსავალი საკუთრებიდან“ – გაზრდილია 488.17 ათასი ლარით.

1.5 ძირითადი აქტივები

1.5.1 წინა საანგარიშო

პერიოდების

ცვეთა/ამორტიზაცია

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საჯარო რეესტრის სააგენტოს, სახელმწიფო სერვისების სააგენტოს და აღსრულების ეროვნული ბიუროს ბალანსზე ირიცხება თბილისის იუსტიციის სახლის მშენებლობაზე 2014 წლამდე შესრულებული სამუშაოების ღირებულება, ჯამური თანხით – 85,507.33 ათასი ლარი.¹⁸ სამინისტროში დღემდე მოუგვარებელია როგორც განხორციელებული სამუშაოების ღირებულების იუსტიციის სახლისთვის გადაცემის, ასევე შენობის ექსპლუატაციაში მიღების საკითხი, მიუხედავად იმისა, რომ შენობა ფაქტობრივად ფუნქციონირებს 2012 წლიდან. მიღებული განმარტებით, ექსპლუატაციაში მიღების პრობლემა გამოწვეულია მშენებლობის შეთანხმებულ პროექტთან შეუსაბამობის გამო. აღსანიშნავია, რომ პრობლემა ნაწილობრივ მოგვარებულია 2019 წლის ივნისში, კერძოდ, აღსრულების ეროვნულმა ბიურომ იუსტიციის სახლს გადასცა ბალანსზე რიცხული 2,807.66 ათასი ლარის სამუშაოები. ამასთანავე, სამინისტროს განმარტებით, საკითხთან დაკავშირებით დამატებით მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა.

ზემოაღნიშნულის შედეგად, აქტივი კლასიფიცირებულია არასწორად, როგორც დაუმთავრებელი მშენებლობა და მას ცვეთა არ ერიცხება.¹⁹

„სმარტ ლოჯიქის“ ბალანსზე დაუმთავრებელი მშენებლობის ანგარიშზე რიცხულია იუსტიციის სამინისტროს შენობის -2 სართულზე 2015-2016 წლებში 332.6 კვ.მ ფართზე (სასერვერო ოთახი) გაწეული სამუშაოების ღირებულება – 532.48 ათასი ლარი. ფაქტობრივი ექსპლუატაციის მიუხედავად, ფართის რეგისტრაციის საკითხი არ არის გადაწყვეტილი. შედეგად, აქტივი კლასიფიცირებულია არასწორად – ნაცვლად „დაუმთავრებელი მშენებლობისა“, ასახული უნდა იყოს „შენობა-ნაგებობის“ ანგარიშზე და ერიცხებოდეს ცვეთა (იხ. ცხრილი N3).

სერვისების სააგენტოს ქ. დმანისის მომსახურების ცენტრის სამშენებლო სამუშაოები, ღირებულებით 431.56 ათასი ლარი, დასრულებულია და ექსპლუატაციაში მიღებულია 2018 წელს.²⁰ მიუხედავად ამისა, აქტივი 2018 წლის ბოლოს, ნაცვლად არასაცხოვრებელი შენობებისა, ასახულია დაუმთავრებელი მშენებლობის ანგარიშზე და არ არის მასზე დარიცხული ცვეთა (იხ. ცხრილი N3). აღსანიშნავია, რომ შესაბამისი კორექტირება განხორციელებულია 2019 წელს.

სამინისტროს აპარატს 2016-2017 წლებში ფინანსთა სამინისტროს სსიპ – საფინანსო-ანალიტიკური სამსახურისგან მიღებული აქვს Microsoft-ის

¹⁷ აღსრულების ეროვნული ბიურო – 68.58 ათასი, ეროვნული არქივი – 17.72 ათასი ლარი.

¹⁸ აღსრულების ეროვნული ბიურო – 2,807.66 ათასი ლარი, სერვისების სააგენტო – 42,608.86 ათასი ლარი, საჯარო რეესტრის სააგენტო – 40,090.80 ათასი ლარი.

¹⁹ სააღრიცხვო ინსტრუქცია, მუხლი 142, პუნქტი 7.

²⁰ დმანისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება N2277, 18.10.2018.

ლიცენზიები, საერთო ღირებულებით – 7,097.46 ათასი ლარი.²¹ 2017 წელს მათზე არ მომხდარა ინსტრუქციით გათვალისწინებული²² ამორტიზაციის თანხის (ღირებულების 10%) – 709.75 ათასი ლარის დარიცხვა (იხ. ცხრილი N3).

ცხრილი N3: აქტივების ღირებულება და მათზე დასარიცხი ცვეთა/ამორტიზაცია (ათასი ლარი)

საბალანსე ერთეული	მიღები ს. თარიღი	საბალანსო ღირებ. 01.01.2018	2018 წლამდე დასარიცხი ცვეთა	2018 წელს დასარიცხი ცვეთა	პოტენციური ღირებულება (31.12.2018)
აღსრულების ეროვ. ბიურო	2014	2,807.66	(112.31)	(28.08)	2,667.28
საჯარო რეესტრის სააგენტო	2014	40,090.81	(1,603.63)	(400.91)	38,086.27
სერვისების სააგენტო	2013	42,608.86	(2,130.44)	(426.09)	40,052.33
„სმარტ ლოჯიკი“	2016	532.48	(10.65)	(5.33)	516.51
სერვისების სააგენტო	2018	430.82	-	(4.32)	426.51
სამინისტროს აპარატი	2017	7,097.46	(709.75)	-	6,387.71
ჯამი:		93,568.08	(4,566.78)	(864.71)	88,136.60

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფინანსურ ანგარიშგებაში გრძელვადიანი აქტივები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლასიფიცირებულია არასწორად, ასევე წარმოდგენილია 5,431.49 ათასი ლარით გაზრდილი ღირებულებით, ხოლო საანგარიშო პერიოდის ცვეთის ხარჯი შემცირებულია 864.71 ათასი ლარით.

1.5.2 ფაქტობრივ სარგებლობაში არარსებული აქტივები

სამინისტროს სისტემაში შემავალი ერთეულების ბალანსზე აღრიცხულია შენობა-ნაგებობები, მიწა, დაუმთავრებელი მშენებლობები, კულტივირებული აქტივები,²³ რომლებიც არ იმყოფება სამინისტროს ფაქტობრივ სარგებლობაში. ინფორმაცია აღნიშნული აქტივების ღირებულების შესახებ მოცემულია ქვემოთ:

ცხრილი N4: სამინისტროს დაქვემდებარებულ უწყებების ბალანსზე რიცხული და ფაქტობრივ სარგებლობაში არარსებული აქტივების ღირებულების შესახებ (ათასი ლარი)

საბალანსე ერთეული	კატეგორია	ღირებულება (01.01.2018)	ცვეთა (2018)	ღირებულება (31.12.2018)
სპეციალური პენიტ. სამსახური	შენობები, მიწა	2,167.80	(59.24)	2,108,553
აღსრულების ეროვნული ბიურო	შენობები	414.05	(2.06)	411,991
სამინისტროს აპარატი	შენობები	48.36	(0.5)	47.86
იუსტიციის სახლი	კულტივ. აქტივები	355.47	-	355.47
საჯარო რეესტრის სააგენტო	შენობები	71.52	-	71.52
სპეციალური პენიტ. სამსახური	მარაგები/მცირ.აქტ	373.13	-	373.13
სპეციალური პენიტ. სამსახური	ინვენტ.დანაკლისი	758.80	-	758.80
სულ:		4,189.1	(61.80)	4,127.32

აღნიშნული აქტივებიდან ვერ მიიღება რაიმე სახის სარგებელი, კერძოდ:

-) პრივატიზებულია ან დაბრუნებულია სახელმწიფოსთვის;
-) ინვენტარიზაციის განუხორციელებლობის გამო, ფაქტობრივი მფლობელის შესახებ ინფორმაცია არ არსებობს (სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში – გაუქმებული პენიტენციური დაწესებულებები და სხვა ობიექტები);

²¹ 2016 წლის აგვისტო – 4,544.05 ათასი ლარი, 2017 წლის თებერვალი – 2,553.41 ათასი ლარი.

²² სააღრიცხვო ინსტრუქცია, მუხლი 3, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი.

²³ ნარგავები.

ს) იუსტიციის სახლში 2018 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად, გამოვლენილია გამხმარი მრავალწლიანი ნარგავები (355.47 ათასი ლარის ღირებულების);

ს) სპეციალური პენიტენციური სამსახურის სასაწყობო სამმართველოზე აღრიცხულია 232.09 ათასი ლარის ფასეულობები, რომელიც წარმოადგენს 2016 წელს ჩატარებული გამოძიების შედეგად პასუხისმგებლობაში მიცემული 4 თანამშრომლის (სასაწყობო სამმართველო) მიერ მითვისებულ აქტივებს, რაც საჭიროებს ჩამოწერას;²⁴

ს) სპეციალური პენიტენციური სამსახურის მარაგების საწყისი და საბოლოო საბალანსო ნაშთები მოიცავს გაუქმებულ პენიტენციურ დაწესებულებებზე²⁵ რიცხულ და ფაქტობრივად არარსებულ 141.04 ათასი ლარის მარაგებს და გრძელვადიან მცირეფასიან აქტივებს.

ზემოაღნიშნული ქონება ვერ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.²⁶ შედეგად, ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში აქტივების საწყისი და საბოლოო ნაშთები წარმოდგენილია, შესაბამისად, 4,189.12 ათასი და 4,127.32 ათასი ლარით გაზრდილი ღირებულებით.

სამინისტროს შესაბამისი უწყებების განმარტებით, მიმდინარეობს მუშაობა აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

1.5.3 ღირებულების გარეშე აღრიცხული მიწა

აუდიტის შედეგად სამინისტროს სხვადასხვა საბალანსო ერთეულებში იდენტიფიცირებულია ფაქტობრივ სარგებლობაში არსებული მიწები, რომელიც არ არის შეფასებული და არაწარმოებული აქტივების ანგარიშზე ასახული:

ცხრილი N5: საბალანსო ერთეულების სარგებლობაში არსებული აღურიცხავი მიწის ფართობები

საბალანსო ერთეული	ობიექტი	რაოდენობა (კვ.მ)
სპეციალური პენიტენციური სამსახური	პენიტ. დაწესებულებები და სხვ.	2,536,866
სერვისების სააგენტო	33 ტერიტორიული სამსახური	22,096
საჯარო რეესტრის სააგენტო	დიდი ლილო, გორგასლის 24 ^ა (თბილისი)	10,221
იუსტიციის სახლი	ქ. ახალქალაქი	1,961
მონაცემთა გაცვლის სააგენტო	ქ. მცხეთა	7,656
ეროვნული არქივი	ქ. თელავი	3,621
სულ:		2,582,421

სპეციალური პენიტენციური სამსახურში ღირებულებით აღრიცხულია მხოლოდ 3 ობიექტის მიწა, რაც სამსახურის ფაქტობრივ სარგებლობაში არსებული მიწის საერთო ოდენობის მხოლოდ 2.1%-ს შეადგენს. არ არის ღირებულებით ასახული არაწარმოებული აქტივების ანგარიშზე 13 პენიტენციური დაწესებულების, 2 ადმინისტრაციული შენობის, საწყობის,

²⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების და მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაციის შესახებ“, მუხლი 13.

²⁵ N1, N4, N13 დაწესებულებები.

²⁶ სააღრიცხვო ინსტრუქცია, მუხლი 3, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი.

წვევამდელთა გადამზადების ცენტრის (ქ. გეგუთი), სპეცრაზმის შენობის (ქ. რუსთავში) მიწები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის შენობა-ნაგებობათა უმრავლესობის ფართები არ არის დადგენილი და სარეგისტრაციო მონაცემებში (საჯარო რეესტრის ამონაწერებში) ასახული. კერძოდ, 14 პენიტენციური დაწესებულებიდან და სხვა 4 შენობიდან²⁷, ფართობები დადგენილია მხოლოდ ცენტრალურ საწყობზე, 6 პენიტენციური²⁸ დაწესებულების ფართები საჭიროებს დამატებით დაზუსტებას, დანარჩენი ნაგებობების სარეგისტრაციო მონაცემები კი მოიცავს ინფორმაციას მხოლოდ მიწის საერთო ფართის და მათზე განთავსებული ნაგებობების რაოდენობის შესახებ. აღნიშნული თავის მხრივ ართულებს შენობა-ნაგებობათა სრულყოფილად და ზუსტად აღრიცხვას.

შედეგად, ზემოაღნიშნული მიწები არ არის ღირებულებით აღრიცხული ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში. მათი ოდენობიდან გამომდინარე, თანხობრივი გავლენა არსებითია, თუმცა ვერ ვსაზღვრავთ კორექტირებისთვის საჭირო ზუსტ თანხას.

სამინისტროს განმარტებით, მიმდინარე პერიოდში მიმდინარეობს მიწების შეფასებისა და სხვა თანმხლები პროცესები, რომლის შედეგებიც ნაწილობრივ ასახება 2019 წლის და შემდგომი პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებებში.

1.5.4 ძირითადი აქტივების ცვეთა

სამინისტროს ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებაში (ფორმა N2) ხარჯის მუხლი – „ძირითადი კაპიტალის მოხმარება“, 2018 წელს 26,541.76 ათას ლარს შეადგენს. აღნიშნულ მუხლთან დაკავშირებით ვლინდება შემდეგი უზუსტობები:

1) **საჯარო რეესტრის სააგენტო** ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხ ბაზად იყენებს არა ისტორიულ, არამედ 2012 წლის დასაწყისისთვის არსებულ ნარჩენ ღირებულებებს,²⁹ რის გამოც, საანგარიშო პერიოდში დარიცხული ცვეთის ხარჯი ნაჩვენებია შემცირებულად. წარმოდგენილი ინფორმაციით შეუძლებელია აქტივების საწყისი ღირებულების დადგენა, შესაბამისად, კორექტირებისთვის საჭირო თანხა ზუსტად ვერ განისაზღვრება;

2) **საჯარო რეესტრის სააგენტოში** არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვისას გამოყენებულია 15%-იანი განაკვეთი და არა - სასარგებლო მომსახურების ვადები, რაც არ შეესაბამება სააღრიცხვო ინსტრუქციის მოთხოვნებს, რომლის მიხედვით „არამატერიალურ აქტივებს ცვეთა ერიცხება სასარგებლო მომსახურების ვადის პროპორციულად, თუ ეს შესაძლებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში, წლიურად – 10%-ის ოდენობით“;

3) 2017 წელს **სამინისტროს აპარატმა** ფინანსთა სამინისტროს **სსიპ – საფინანსო-ანალიტიკური სამსახურისგან** მიიღო 7,097.46 ათასი ლარის

²⁷ წვევამდელთა გადამზადების ცენტრი გეგუთში, სპეცრაზმის შენობა ქ. რუსთავში, ადმინისტრაციული შენობა

²⁸ N2, N9, N12, N15, N16, N19 დაწესებულებები

²⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“, მუხლი 3, პუნქტი 1.

Microsoft-ის ლიცენზიები, საიდანაც 6,409.16 ათასი ლარის ლიცენზიები განაწილდა სხვადასხვა საბალანსო ერთეულზე. სამინისტროს აპარატის, ეროვნული არქივის, საჯარო რეესტრის სააგენტოს და დანაშაულის პრევენციის ცენტრის მიერ, მათზე ამორტიზაცია არასწორად ან საერთოდ არ არის დარიცხული. კერძოდ, სამინისტროს აპარატის, ეროვნული არქივის და დანაშაულის პრევენციის ცენტრის მიერ, ამორტიზაცია არ არის დარიცხული ჯამური ღირებულებით – 76.30 ათასი ლარის ოდენობით, საჯარო რეესტრის სააგენტოს, ნაცვლად ინსტრუქციით გათვალისწინებული 10%-ისა, გამოყენებული აქვს 15%-იანი განაკვეთი, რის შედეგადაც დარიცხული ცვეთა გაზრდილია 78.57 ათასი ლარით;

) ეროვნული არქივის მიერ 2018 წელს ძირითად საშუალებებზე დარიცხულია 2017 წლის კუთვნილი ცვეთის თანხა – 270.48 ათასი ლარი. ასევე, 2018 წლის ბოლოს 1,101.56 ათასი ლარის ნარჩენი ღირებულების ძირითად საშუალებებზე ცვეთა არ არის დარიცხული;

) სპეციალური პენიტენციური სამსახურის და აღსრულების ეროვნული ბიუროს ბალანსზე ირიცხება 1,472.02 ათასი ლარის სტრატეგიული აქტივი,³⁰ თუმცა მათზე ცვეთის დარიცხვა არ ხორციელდება. მოქმედი ინსტრუქციით,³¹ ასეთ აქტივებზე ცვეთის ნორმა დადგენილი არ არის. ამავე ინსტრუქციის მიხედვით, ასეთ შემთხვევაში ორგანიზაციამ „უნდა შეიმუშაოს ცვეთის ნორმების შესაბამისი პროექტი და დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს“.

) 2018 წელს 864.71 ათასი ლარის ცვეთა არ არის დარიცხული ფაქტობრივ ექსპლუატაციაში არსებულ, თუმცა დაუმთავრებელი მშენებლობის ანგარიშზე რიცხულ ძირითად აქტივებზე (იხ. აბზაცი 1.5.1), ასევე, 61.80 ათასი ლარის ცვეთის ხარჯი ნაჩვენებია ფაქტობრივად არარსებულ აქტივებზე (იხ. აბზაცი 1.5.2).

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, 2018 წლის ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებაში მუხლი „ძირითადი კაპიტალის მოხმარება“, წარმოდგენილია ჯამურად 530.16 ათასი ლარით შემცირებულად. ასევე აქტივების ნაწილზე არ ან არასრულად არის დარიცხული ცვეთის თანხა, თუმცა ვერ განვსაზღვრავთ კორექტირებისთვის საჭირო ზუსტ ოდენობას.

³⁰ ცეცხლსასროლი იარაღი.

³¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“, მუხლი 3, პუნქტი 1.

1.6 ფინანსური აქტივები

სამინისტროს ფინანსური აქტივების სტრუქტურა წარმოდგენილია ქვემოთ, ცხრილის სახით:

ცხრილი N6: ინფორმაცია სამინისტროს ფინანსური აქტივების შესახებ (ათასი ლარი):

მუხლის დასახელება	ანგარიშის N	ნაშთი 01.01.2018	ნაშთი 31.12.2018
აქციები და სხვა კაპიტალი	1330	825.0	825.0
მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით	1354	1,384.61	1,797.39
მოთხოვნები ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	1355	472.76	531.03
საგადასახადო აქტივები	1360	5,107.83	4,188.23
ავანსები საქონლის და მომსახურების მიღებაზე	1431	2,361.27	3,922.17
ავანსები არაფინანსური აქტივების მიღებაზე	1432	13,755.87	18,868.36
მოთხოვნები დანაკლისებით	1440	179.79	180.58
სხვა დანარჩენი მოთხოვნები	-	566.15	865.67
სულ:		24,653.28	31,178.43

გადახდილი ავანსები ძირითადად მოიცავს **სპეციალური პენიტენციური სამსახურის, საჯარო რეესტრის სააგენტოსა და იუსტიციის სახლის** მიერ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების განსახორციელებლად სხვადასხვა ორგანიზაციისთვის წინასწარ გადახდილ თანხებს. საგადასახადო აქტივები წარმოშობილია სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების და სხვადასხვა საქონლის/მომსახურების შესყიდვის შედეგად ჩათვლილი დღგ-ის, ასევე წინასწარ გადახდილი ქონების და მოგების გადასახადის თანხებისგან. ფინანსური აქტივების აღრიცხვასთან მიმართებით ვლინდება შემდეგი გარემოებები:

) ფინანსური აქტივების 2018 წლის საწყისი და საბოლოო ნაშთები მოიცავს შიდაჯგუფურ, არაელემინირებულ თანხებს, შესაბამისად, 374.97 ათასი და 175.58 ათასი ლარის ოდენობით;

) სამინისტროს 11 საბალანსო ერთეულში, სადაც ფინანსური აქტივების ჯამური მოცულობა 26,529.94 ათასი ლარია, არ ჩატარებულა კანონმდებლობით გათვალისწინებული³² ინვენტარიზაცია. გამომდინარე აქედან, არ არის განხილული და გადაწყვეტილი დავალიანების ამოღების ალბათობის და ბალანსზე არსებობის საკითხი;³³

) ფინანსური აქტივების, დაახლოებით, 20% (6,293.28 ათასი ლარი) წარმოშობილია 1996-2014 წლებში. აღნიშნული თანხიდან, ყველაზე დიდი წილი მოდის 2004 წელს წარმოშობილ, შპს „ნოლას“ დავალიანებაზე (**სპეციალური პენიტენციური სამსახური**), რომელიც შეადგენს 4,299.5 ათას ლარს. დავალიანების შესაბამისი დოკუმენტაცია გადაგზავნილია სამართალდამცავ უწყებაში, ხოლო დანარჩენი დავალიანებებიდან ნაწილზე მიმდინარეობს სასამართლო დავა (761.05 ათასი ლარი). დანარჩენ

³² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N 605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების და მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაციის შესახებ“.

³³ სააღრიცხვო ინსტრუქცია, მუხლი 72, პუნქტი 30.

შემთხვევებში, დავალიანების უმეტეს ნაწილზე შესაბამისი დოკუმენტაცია არ მოიპოვება.

მოცემული გარემოებებიდან გამომდინარე, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური აქტივები წარმოდგენილია 191.02 ათასი ლარით გაზრდილი ღირებულებით, ამასთანავე, ვერ ვრწმუნდებით 6,177.01 ათასი ლარის³⁴ მოთხოვნების არსებობასა და სიზუსტეში.

1.7 ვალდებულებები

1.7.1 გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები, სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები

სამინისტროს ბალანსზე რიცხული ვალდებულებების სტრუქტურა (გარდა სადეპოზიტო ვალდებულებებისა) წარმოდგენილია ქვემოთ, ცხრილის სახით:

ცხრილი N7: სამინისტროს ვალდებულებების შესახებ (სადეპოზიტო ვალდებულებ. გარდა) (ათასი ლარი)

ანგარიშის დასახელება	ანგარიშის N	ნაშთი 01.01.2018	ნაშთი 31.12.2018
საქონლის და მომსახ. მოწოდებით დარიცხული	3210	1,875.16	2,094.53
არაფინანსური აქტივების მოწოდებით დარიცხული	3220	1,574.44	1,850.13
საგადასახადო და ბიუჯეტის წინაშე დარიცხული	3240	2,259.92	2,305.35
მომუშავეებთან და სტიპენდიანტებთან დაკავშირებული	3250	1,069.46	1,081.34
ვალდებულებები დეპონენტების მიმართ	3260	2.98	2.98
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3280	793.97	744.31
გრძელვადიანი ვალდებულებები	3300	5,222.46	3,492.76
სულ:		12,798.40	11,571.41

) ვალდებულებების 2018 წლის საწყისი და საბოლოო ნაშთები მოიცავს შიდაჯგუფურ და არაელიმინირებულ თანხებს, შესაბამისად, 356.73 ათასი და 178.90 ათასი ლარის ოდენობებით;

) ბალანსის დანართი N12-ში ასახული ინფორმაციით, 2018 წლის ბოლოს არსებული დავალიანების თანხის, დაახლოებით, 35% (4,102.27 ათასი ლარი) 1996-2014 წლებში წარმოშობილი ვალდებულებებია. ნაშთების რეალურობის დადგენის მიზნით, სამინისტროს 11 საბალანსო ერთეულში (ვალდებულებების ჯამური თანხა პერიოდის ბოლოს – 10,690.12 ათასი ლარი) არ ჩატარებულა კანონმდებლობით გათვალისწინებული ინვენტარიზაცია.³⁵ გამომდინარე აქედან, არ არის განხილული და გადაწყვეტილი ხანდაზმულობის და საცნობარო მუხლში (13 ანგარიში – „ჩამოწერილი კრედიტორული დავალიანება“) გადატანის საკითხი;

³⁴ ხანძრულ დავალიანებას - დადასტურებული დავალიანება + თანამშრომელთა მიმართ მოთხოვნა (31,913).

³⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N 605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების და მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაციის შესახებ“.

) 370.03 ათასი ლარი უკავშირდება ლიკვიდირებულ ორგანიზაციებს.³⁶ შესაბამისად, თანხა ვერ აკმაყოფილებს ვალდებულებად აღიარების კრიტერიუმებს;³⁷

) გრძელვადიანი ვალდებულების ანგარიშზე 2018 წლის ბოლოს რიცხული ნაშთი, 3,492.76 ათასი ლარი, წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს სსიპ – საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის მიმართ არსებულ დავალიანებას, რომლის დაფარვაც ხელშეკრულებით გათვალისწინებულია 2019 წლის საბიუჯეტო ასიგნებებით. შესაბამისად, დავალიანება ნაცვლად გრძელვადიანისა, ასახული უნდა იყოს „მოკლევადიანი ვალდებულებების“ მუხლში.³⁸

მოცემული გარემოებებიდან გამომდინარე, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვალდებულებები კლასიფიცირებულია არასწორად (3,492.76 ათასი ლარი), საწყისი და საბოლოო ნაშთები კი, წარმოდგენილია, შესაბამისად, 726.77 ათასი და 548.93 ათასი ლარით გაზრდილი ღირებულებით.

1.7.2 ვალდებულებები დეპოზიტებით

აღსრულების ეროვნული ბიუროს ვალდებულებების N3110 ანგარიშზე – „ვალდებულებები დეპოზიტით“, 2018 წლის საწყისი და საბოლოო ნაშთები შეადგენს 119,012.76 ათას და 133,837.54 ათას ლარს, რომელიც წარმოადგენს სააღსრულებო პროცედურების შედეგად ამოღებულ და კრედიტორებისთვის გადასარიცხ თანხებს, ასევე გირაოს³⁹ თანხებს. აღნიშნული ვალდებულებების აღრიცხვასთან მიმართებით ვლინდება შემდეგი გარემოებები:

) 2,767.95 ათასი ლარის წარმოშობის წელი და კრედიტორის ვინაობა არ არის იდენტიფიცირებული. **აღსრულების ეროვნული ბიუროს** განმარტებით, აღნიშნული საკითხი უკავშირდება ბიუროს შექმნის პერიოდში არსებულ აღრიცხვის პრობლემებს, რის შედეგადაც ვერ ხდება კრედიტორების იდენტიფიცირება;

) არ არის გადაფასებული უცხოურ ვალუტაში არსებული სადეპოზიტო ვალდებულებები. 2015-2018 წლებში კურსის ცვლილებით მიღებული ჯამური ზარალი⁴⁰ 691.32 ათას ლარს შეადგენს, მათ შორის, 2018 წლის ზარალის თანხა 431.67 ათასი ლარია, რის შედეგადაც 2018 წლის ბოლოს ვალდებულების ანგარიშში წარმოდგენილია შემცირებულად, 691.32 ათასი ლარით, ისევე როგორც ამ პერიოდის არასაოპერაციო ხარჯები – 431.67 ათასი ლარით. კორექტირება გაკეთებულია 2019 წლის ჩანაწერებში, თუმცა არ მომხდარა შეცდომის რეტროსპექტულად გასწორება;⁴¹

) 2018 წლის ბოლოს სადეპოზიტო ანგარიშებზე არსებული თანხა დაკავშირებულია 87,000-ზე მეტ საქმესთან. ნაშთების და მათი ოპერაციების კონტროლისთვის არ არსებობს შესაბამისი პროგრამული

³⁶ სამინისტროს აპარატი – 13.81 ათასი ლარი, სპეციალური პენიტენციური სამსახური – 275.47 ათასი ლარი, ეროვნული არქივი – 525 ლარი, 2004 წელს გაუქმებული მიწის მართვის დეპარტამენტის დავალიანებები – 80.24 ათასი ლარი.

³⁷ სააღრიცხვო ინსტრუქცია, მუხლი 17, „კ“ პუნქტი.

³⁸ სააღრიცხვო ინსტრუქცია, მუხლი 3, „უ“ პუნქტი.

³⁹ ფულადი თანხა ან სხვა ფასეულობა, რომელიც სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლოს, ან წინასწარი გამოძიების ორგანოს დეპოზიტზე შეაქვს ბრალდებულს.

⁴⁰ საბუღალტრო ჩანაწერების მიხედვით,

⁴¹ სააღრიცხვო ინსტრუქცია, მუხლი 14, პუნქტი 10.

უზრუნველყოფა, მონაცემთა დამუშავება ხდება მანუალურად, MS Excel-ის პროგრამაში, რაც საჭიროებს დიდ დროით რესურსს. კონტროლის სპეციფიკიდან გამომდინარე, არსებობს ადამიანური ფაქტორით გამოწვეული შეცდომის დაშვების რისკიც. ამგვარი სახის კონტროლი ვერ უზრუნველყოფს სადეპოზიტო თანხების შესახებ ოპერატიული ინფორმაციის მიღებას;

) შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის არარსებობის გამო, სადეპოზიტო ნაშთების და ბრუნვების ბუღალტრული აღრიცხვა არ წარმოებს ინდივიდუალურად, კრედიტორების მიხედვით. საბუღალტრო ანგარიშზე თანხების ზრდა და შემცირება აისახება ჯამურად, ბანკის ამონაწერებში დაფიქსირებული თანხების შესაბამისად. 2018 წლის დასაწყისში და ბოლოს, ვალდებულებების ანგარიშზე არსებული ნაშთი, მოიცავს როგორც სააღსრულებო პროცედურების შედეგად ამოღებულ და კრედიტორებისთვის გადასარიცხ, ასევე კანონმდებლობით დადგენილ, ბიუროს მომსახურების საფასურის თანხებს. მათი ოდენობა დგინდება ამოღებული თანხების განკარგვის შესახებ დოკუმენტაციის საფუძველზე (საფასურის განკარგვის შესახებ მიმართვა), რომელიც ხშირ შემთხვევებში დგება საანგარიშო წლის დასრულებამდე, რის საფუძველზეც ანგარიში „ვალდებულებები დეპოზიტით“(N3100) უნდა დაკლასიფიცირდეს როგორც „წინასწარ მიღებული სხვა შემოსავლები“(N3200).

აუდიტის შედეგად იდენტიფიცირებულია სადეპოზიტო ვალდებულებების ანგარიშზე (N3100) 2018 წლის დასაწყისში და წლის ბოლოს რიცხული, შესაბამისად, 3,429.39 ათასი და 824.50 ათასი ლარის თანხები, რომლებიც ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის საფუძველზე ასახული უნდა იყოს არა სადეპოზიტო, არამედ „წინასწარ მიღებული სხვა შემოსავლების“ (N3200) ანგარიშზე, შესაბამისად, 2018 წლის დასაწყისში და ბოლოს ვალდებულებები მითითებული თანხით, კლასიფიცირებულია არასწორად. ამასთან, სადეპოზიტო ვალდებულებები შემცირებულია 691.32 ათასი ლარით, ასევე ვერ ვრწმუნდებით 2,767.95 ათასი ლარის ვალდებულების არსებობაში.

1.7.3 საგადასახადო ვალდებულებები

საჯარო რეესტრის სააგენტოს და „სმარტ ლოჯიკის“ მიერ 2018 წლის მოგების გადასახადის დეკლარაციის საფუძველზე გაანგარიშებული მოგების გადასახადის თანხა 169.56 ათას ლარს შეადგენს,⁴² აღნიშნული თანხით კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებაში (ფორმა N4) არ არის შემცირებული წმინდა ღირებულება, სააღრიცხვო ინსტრუქციის შესაბამისად.⁴³

აღსრულების ეროვნული ბიურო მოგების გადასახადის გაანგარიშების დროს ერთობლივი შემოსავლიდან ძირითადი საშუალებების ღირებულების გამოქვითვას ახდენს ფინანსური ანგარიშგების წლიური ცვეთის თანხით და არა – საგადასახადო კოდექსის მიხედვით,⁴⁴ რაც ითვალისწინებს ძირითადი საშუალების თითოეული ჯგუფის

⁴² საჯარო რეესტრის სააგენტო – 131.84 ათასი ლარი, „სმარტ ლოჯიკი“ – 37.72 ათასი ლარი.

⁴³ სააღრიცხვო ინსტრუქცია, მუხლი 72, პუნქტი 13.

⁴⁴ საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 111.

სამორტიზაციო ანარიცხების გაანგარიშებას ჯგუფის ღირებულებითი ბალანსიდან.

გამომდინარე აღნიშნულიდან, მოგების გადასახადის თანხა არ არის გაანგარიშებული საგადასახადო კოდექსით დადგენილი პრინციპებით, რაც გავლენას ახდენს საგადასახადო ვალდებულებების (N3240) და წმინდა ღირებულების (N5100) ანგარიშების ნაშთებზე, თუმცა კორექტირებისთვის საჭირო თანხა ვერ განისაზღვრება.

1.8 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

1.8.1 მარაგების აღრიცხვა

სერვისების სააგენტოს მიერ სხვადასხვა სახის ბლანკები (ელექტრონული პირადობის მოწმობა, ბიომეტრიული პასპორტის ბლანკი, ბინადრობის მოწმობა) ხარჯად აღიარდება სააგენტოს ცენტრალური საწყობიდან სხვადასხვა საბეჭდო ცენტრებსა (თბილისის, ქუთაისის და ბათუმის საბეჭდო ცენტრები) და ტერიტორულ სამსახურებზე მოხსენებითი ბარათების საფუძველზე გადაცემის შემდეგ. აღნიშნული რეალურად წარმოადგენს შიდა გადაცემის და არა – ხარჯვის ოპერაციას.⁴⁵ მარაგების ხარჯად აღიარების ამგვარი პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს ფინანსურ ანგარიშგებაში მათ სწორად წარდგენას. სააგენტოს ბალანსგარეშე ანგარიშზე 2018 წლის საწყის და საბოლოო ნაშთებად – 1,176.14 ათასი და 1,194.71 ათასი ლარის რიცხული მარაგები წარმოადგენს ხარჯად აღიარებულ, თუმცა ფაქტობრივად არსებულ აქტივებს.

სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში მარაგების ანგარიშზე ირიცხება წინა პერიოდიდან მომდინარე გაურკვეველი უარყოფითი ნაშთი – 148.65 ათასი ლარი. ასევე, პროგრამული ხარვეზის გამო არ არის ასახული 126.0 ათასი ლარის მარაგის მიღება. შესაბამისად, მარაგების ღირებულება შემცირებულია 274.65 ათასი ლარით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასაქონლო-მატერიალური მარაგების საწყისი და საბოლოო ნაშთები წარმოდგენილია, შესაბამისად, 1,324.79 ათასი და 1,469.37 ათასი ლარით შემცირებული ღირებულებით.

1.8.2 მედიკამენტების აღრიცხვა და კონტროლი

სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში, 2017 წელს განხორციელებული მედიკამენტებისა და სამედიცინო სახარჯი მასალების ინვენტარიზაციის შედეგად, 2018 წლის 10 იანვრის სხდომის ოქმით, კომისიამ გამოავლინა 893.58 ათასი ლარის დანაკლისი (მათ შორის, გაუქმებულ პენიტენციური დაწესებულებებზე რიცხული, 134.78 ათასი ლარის მარაგები).

ამავე ოქმში მოცემული განმარტებით, დანაკლისი განპირობებული იყო შემდეგი ძირითადი მიზეზებით:⁴⁶

- 1) წინა პერიოდებში არ განხორციელებულა მედიკამენტების ინვენტარიზაცია;
- 2) წლების განმავლობაში არასწორად ან რიგ შემთხვევებში საერთოდ არ აწარმოებდნენ მედიკამენტებისა და სამედიცინო სახარჯი მასალების ბრუნვის დამადასტურებელ დოკუმენტაციას (აღნიშნული

⁴⁵ სააღრიცხვო ინსტრუქცია, მუხლი 143, პუნქტი 32.

⁴⁶ საკითხი არ ეხება ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მიღებულ მედიკამენტებს, რომელთა აღრიცხვასა და კონტროლს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო ახორციელებს.

ნაკლოვანებების შესახებ მითითებულია ასევე სასჯელადსრულების და პრობაციის სამინისტროში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული 2014-2015, 2016, 2017 წლების აუდიტის ანგარიშებში);

- ა) არ არსებობს პენიტენციურ სისტემაში მედიკამენტებისა და სამედიცინო სახარჯი მასალების აღრიცხვის მარეგულირებელი ნორმატიული აქტები.

კომისიის მიერ მიზანშეწონილად არ იქნა მიჩნეული აღნიშნული შედეგების ბუღალტრულად ასახვა. სამინისტროს განმარტებით, დანაკლისების შესახებ ინფორმაცია გაიგზავნება სამართალდამცავ უწყებებში.

ხშირ შემთხვევაში **სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში** მედიკამენტების სრულად ჩამოწერის პროცედურა ვერ ხორციელდება დოკუმენტაციის მიხედვით, საკმარისი ბუღალტრული ნაშთების არარსებობის გამო (აუდიტის შედეგად იდენტიფიცირებულია 30.01 ათასი ლარის ხარჯად ჩამოწერის ოპერაცია, რომელიც ბუღალტრულად ვერ იქნა ასახული.).

შედეგად, მარაგების N1620 ანგარიშზე საანგარიშო წლის ბოლოს ირიცხება 893.58 ათასი ლარის ფაქტობრივად არარსებული მარაგი, ხოლო ხარჯის მუხლი – „საქონელი და მომსახურება“ წარმოდგენილია 30.01 ათასი ლარით შემცირებული ღირებულებით.

აღსანიშნავია ისიც, რომ დღეის მდგომარეობით, 12 პენიტენციური დაწესებულების აფთიაქებში, სადაც ხდება მედიკამენტების მიღება და შემდგომ განაწილება, შესაბამის პირებთან არ არის გაფორმებული ხელშეკრულებები სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ. ყოველივე აღნიშნული მიუთითებს **სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში** მედიკამენტების მიღება-გაცემასა და აღრიცხვაში არსებულ ნაკლოვანებებზე.

შესაბამისად, მედიკამენტების აღრიცხვა-კონტროლის არსებული სისტემა ვერ უზრუნველყოფს არსებული მარაგების დაცულობას, მიზნობრივ ხარჯვასა და გამოყენებას.

აუდიტი წარვმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი წინამდებარე ანგარიშის ნაწილში სახელწოდებით – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“. უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) მოთხოვნების შესაბამისად, ჩვენ ვართ ორგანიზაციისგან დამოუკიდებელი აუდიტორები და შესრულებული გვაქვს INTOSAI-ის მიერ დაწესებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

2.1 სსიპ – იუსტიციის სახლის კუთვნილი ავტოსადგომის იჯარასთან დაკავშირებული დავა

2016 წლის 30 მაისს გამოცხადებული აუქციონის საფუძველზე, 2016 წლის 9 ივნისს იუსტიციის სახლსა და შპს „ტრანს-პარკინგი 2016“-ს შორის გაფორმდა 3-წლიანი საიჯარო ხელშეკრულება თბილისის იუსტიციის სახლის ტერიტორიაზე მდებარე მიწის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (10,851 კვ.მ) გადაცემაზე, ფასიანი ავტოსადგომის მოწყობის მიზნით.

კანონმდებლობა არ ითვალისწინებს აუქციონის საკვალიფიკაციო მოთხოვნების აუცილებელ განსაზღვრას. აღნიშნული წარმოადგენს მესაკუთრის დისკრეციას და საშუალებას იძლევა მოხდეს სათანადო და კვალიფიციური პრეტენდენტის შერჩევა. იუსტიციის სახლის მიერ გამოცხადებული აუქციონი არ ითვალისწინებდა პრეტენდენტის გამოცდილებას, შედეგად მასში მონაწილეობა არ იყო შეზღუდული სხვადასხვა კრიტერიუმით.

იუსტიციის სახლის განმარტებით, აუქციონის გამოცხადებისას საკვალიფიკაციო პირობების დადგენით იზღუდება პოტენციურ მონაწილეთა წრე, ხოლო იმ პერიოდში ბაზარზე ამ მოცულობის პარკინგის გამოცდილების მქონე კომპანიის მოძიება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

აუქციონში გაიმარჯვა შპს „ტრანს-პარკინგი 2016“-მა.⁴⁷ მოიჯარე ქირას სრულად იხდიდა მხოლოდ 7 თვის განმავლობაში, ხოლო შემდგომ სახელშეკრულებო პირობები დაარღვია.

მოიჯარემ 2016 წლის დეკემბერში, ითხოვა საიჯარო ქირის გადახედვა, რაზეც იუსტიციის სახლისგან მიიღო უარი. იუსტიციის სახლის განმარტებით, უარის მიზეზს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ საიჯარო თანხა დადგენილი იყო აუქციონის პირობებით და შესაბამისად შეცვლილი ფასი წინააღმდეგობაში იქნებოდა აუქციონით დადგენილ პირობებთან.

2017 წლის 11 აპრილს შპს „ტრანს-პარკინგი-2016“-მა სასამართლოში შეტანილი სარჩელით მოითხოვა ხელშეკრულების პირობების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. იუსტიციის სახლმა შეგებებული სარჩელით მოითხოვა გადაუხდელი საიჯარო ქირის, დარიცხული ჯარიმის და მიყენებული ზიანის ანაზღაურება – 389.87 ათასი ლარის ოდენობით.

ამასთანავე, იუსტიციის სახლმა სასამართლო დავის დაწყების შემდეგ, კომპანიასთან ხელშეკრულება ცალმხრივად გაწყვიტა, მიუხედავად ამისა მოიჯარემ არ დატოვა სარგებლობაში გადაცემული ტერიტორია და ოპერირებას 2019 წლის ივნისამდე (სასამართლო პროცესის პარალელურად) ფაქტობრივად 2 წლის განმავლობაში, ახორციელებდა თანხის გადაუხდელობა.

2017 წლის იანვრიდან 2019 წლის მაისის ჩათვლით, გადაუხდელი თანხა 530.9 ათას ლარს⁴⁸ შეადგენს.

2019 წელს იუსტიციის სახლის ზემოაღნიშნული სასარჩელო მოთხოვნა სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებულია სრულად. აღსანიშნავია, რომ მოიჯარის მიერ დაწყებული დავა გაგრძელდა 2 წლის განმავლობაში. ამასთანავე მოწინააღმდეგე მხარემ გადაწყვეტილება გაასაჩივრა შემდგომ ინსტანციაში, რაც

⁴⁷ აუქციონის გამოცხადებამდე 2 თვით ადრე დაფუძნებულმა კომპანიამ

⁴⁸ 29 თვე X 20,100 ლარი_52,000 ლარი.

თანხის მიღების პროცესს დროში მნიშვნელოვნად ახანგრძლივებს და რისკის ქვეშ აყენებს.

2.2 სამინისტროში შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

2.2.1 „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შეუსრულებლობა

„სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს სამინისტროში შიდა ფინანსური კონტროლის დანერგვის წესსა და პრინციპებს. „ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების წესისა და პროცედურების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით⁴⁹ – „ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის ეტაპების გაწერა დროში თანხმდება დაწესებულებასა (მხარჯავ) და ფინანსთა სამინისტროს შორის“. ამავ დანერგვით, უწყება წლის დასრულებიდან მომდევნო წლის იანვრის ბოლომდე ფინანსთა სამინისტროს წარუდგენს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვისა და განვითარების შესახებ წლიურ ანგარიშს. სამინისტროს მიერ არ არის მომზადებული და ფინანსთა სამინისტროსთვის წარუდგენილი, როგორც ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის დროში გაწერილი ეტაპები, ასევე „ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის და განვითარების შესახებ“ 2018 წლის ანგარიში.

2.2.2 შიდა აუდიტის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა სხვადასხვა სსიპ-ებში

იუსტიციის სახლის, აღსრულების ეროვნული ბიუროს და სერვისების სააგენტოს შიდა აუდიტის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა, მათი ანგარიშების მიხედვით, წარმოადგენს თანამშრომელთა სამსახურებრივი დისციპლინისა და საქმიანობის კანონიერების შემოწმებას, რაც რეალურად წარმოადგენს ინსპექტირებას და არ შეესაბამება „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით⁵⁰ შიდა აუდიტის სუბიექტისთვის განსაზღვრულ საქმიანობის მასშტაბს.

საქართველოს მთავრობის N391 დადგენილების⁵¹ – „საჯარო სამართლის იურიდიული პირების ჩამონათვალის და მათში შიდა აუდიტის სისტემის დანერგვის და განვითარების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ – შესაბამისად, საჯარო რეესტრის სააგენტოში შიდა აუდიტის სტრუქტურული დანაყოფის შექმნა და მის მიერ აუდიტორული საქმიანობის განხორციელება გათვალისწინებულია 2018 წლიდან, თუმცა სააგენტოში არ არის შექმნილი შიდა აუდიტის სუბიექტი (არსებობს შიდა კონტროლის სამსახური, რომელიც ინსპექტირებას ახორციელებს).

სერვისების სააგენტოს დებულების თანახმად, შიდა აუდიტის სამსახურის ერთ-ერთი ამოცანაა „ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით სააგენტოში არსებული ინფრასტრუქტურის, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისა და მოქმედი ელექტრონული პროგრამების აუდიტი“, თუმცა სამსახურის მიერ აღნიშნული ამოცანა არ სრულდება.

2.3 სააღრიცხვო პოლიტიკის არარსებობა

სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება, დანერგვა და გამოყენება ორგანიზაციაში აღრიცხვის თანმიმდევრულობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

⁴⁹ 2017 წლის 21 მარტის №133 დადგენილება.

⁵⁰ საქართველოს 2011 წლის 9 დეკემბრის კანონი N 5447, მუხლი 18, პუნქტი 2.

⁵¹ 2016 წლის 12 აგვისტო

სამინისტროში არ არის შემუშავებული და დანერგილი ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციით განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკა.⁵² აღნიშნული პოლიტიკა შესაძლებელია მოიცავდეს ინსტრუქციას შემდეგი საკითხების აღრიცხვის შესახებ: უიმედო ვალები, მოძველებული მატერიალური ფასეულობები, ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, ცვეთად აქტივებზე გაწეული დანახარჯები და სხვ.

სააღრიცხვო პოლიტიკის არქონით არის გამოწვეული სხვადასხვა საბალანსო ერთეულში რიგ შემთხვევებში ერთსა და იმავე მუხლებთან მიმართებით (ძირითადი აქტივები, ცვეთის ხარჯი, მოგების გადასახადის გაანგარიშება, ქონების/მოგების გადასახადის ხარჯის აღიარება) აღიარების სხვადასხვა მეთოდის/პრინციპის არსებობა.

2.4 საბუღალტრო აღრიცხვის პროგრამის არარსებობა სამინისტროს აპარატში

სამინისტროს აპარატს არ გააჩნია ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამული უზრუნველყოფა სააღრიცხვო ინფორმაციის დასამუშავებლად და ე.წ. „მთავარი წიგნის“ საწარმოებლად. სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოება ხორციელდება პროგრამა MS Excel-ის პროგრამით, რაც წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესთან დაკავშირებულ კონტროლის ნაკლოვანებას.

2.5 სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში ფასეულობებზე მატერიალურად პასუხისმგებელი პირების არარსებობა

სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში არაფინანსურ აქტივებზე პასუხისმგებელი პირები ხელშეკრულებით განსაზღვრულია მხოლოდ სასაწყობო სამმართველოს 6 ქვედანაყოფზე. მატერიალურად პასუხისმგებლობის განსაზღვრის შესახებ ხელშეკრულება, კანონმდებლობის შესაბამისად,⁵³ არ არის გაფორმებული 12 პენიტენციური დაწესებულების საწყობის მენეჯერთან, დაწესებულებათა აფთიაქებსა და სხვადასხვა ქვედანაყოფებში, სადაც ხდება ფასეულობათა მიღება, შენახვა და გაცემა (გარე დაცვის განყოფილებები, კინოლოგიის განყოფილება და ა.შ.), რაც წარმოშობს აქტივების დაცულობასთან დაკავშირებულ რისკებს, ვინაიდან ფორმალურად არ არსებობს მათ მიღება-შენახვასა და გაცემაზე პასუხისმგებელი პირი. ზემოაღნიშნულ 6 საწყობზე სააღრიცხვო მონაცემებით 2018 წლის დასაწყისში რიცხული მარაგების და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების საერთო ღირებულება ამავე თარიღით სპეციალური პენიტენციური სამსახურის მარაგების და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების ღირებულების დაახლოებით 39%-ს შეადგენს (საერთო ღირებულება – 10,886.70 ათასი ლარი, 6 საწყობზე რიცხული ფასეულობების ღირებულება, წარმოდგენილი ინფორმაციით – 4,191.93 ათასი ლარია).

2.6 არამატერიალურ აქტივებზე გაწეული დანახარჯების შეფასების შესაბამისი კონტროლის სისტემის არარსებობა

საჯარო რეესტრის სააგენტო და სერვისების სააგენტო თავიანთი უფლებამოსილებიდან გამომდინარე, სარგებლობენ სხვადასხვა ფუნქციის საინფორმაციო-ტექნოლოგიური (IT) აპლიკაციებით/პროგრამებით, საიდანაც უმეტესობა შექმნილია საკუთარი რესურსით (საჯარო რეესტრი: 28 პროგრამა/აპლიკაცია, სერვისების სააგენტო – 36 პროგრამა/აპლიკაცია). აღნიშნული პროგრამების/აპლიკაციების უმრავლესობა უშუალოდ მონაწილეობს სააგენტოების ძირითადი შემოსავლების ფორმირებაში.

⁵² სააღრიცხვო ინსტრუქცია, მუხლი 4, პუნქტი 7, „ა“ ქვეპუნქტი.

⁵³ სააღრიცხვო ინსტრუქცია, მუხლი 145, პუნქტი 6.

გარდა ამისა, საჯარო რეესტრის სააგენტოს შიდა რესურსებით შემუშავებულია 15 პროგრამული უზრუნველყოფა, რომლებითაც ყოველწლიურად გადახდილი საფასურის სანაცვლოდ, სარგებლობენ გარე უწყებები. მათ შორისაა, ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამები, როგორიცაა, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა და აღსრულების ეროვნული ბიუროს ძირითადი საქმისწარმოების პროგრამა.

სააგენტოებში არ არსებობს შესაბამისი კონტროლის სისტემა მათზე გაწეული დანახარჯების ცალკე აღრიცხვისა და შეფასებისთვის, რათა შემდგომ განისაზღვროს, აღნიშნული დანახარჯები აქტივად აღიარების კრიტერიუმებს აკმაყოფილებს თუ არა.

3. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა

**ხელმძღვანელი პირების
ვალდებულებები ფინანსურ
ანგარიშგებასთან
დაკავშირებით**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია **კონსოლიდირებული** ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი **კონსოლიდირებული** ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა, შეაფასოს ორგანიზაციის უნარი – უწყვეტად განაგრძოს საჯარო მომსახურების მიწოდება, როგორც ფუნქციონირებადმა ერთეულმა, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში, უნდა გააძეგნოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და გამოიყენოს აღნიშნული პრინციპი ბუღალტრულ აღრიცხვაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოს გადაწყვეტილი აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა. ხელმძღვანელი პირები პასუხისმგებელი არიან **კონსოლიდირებული** ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის კონტროლზე.

**აუდიტორის
პასუხისმგებლობა
ფინანსურ ანგარიშგებასთან
დაკავშირებით**

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა **კონსოლიდირებული** ფინანსური ანგარიშგება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტის დასკვნა, რომელიც მოიცავს აუდიტის მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ ISSAI-ის მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ჩაითვლება არსებითად, თუ მოსალოდნელია, რომ ცალკე ან ჯამურად ისინი ზეგავლენას მოახდენენ **კონსოლიდირებული** ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. ISSAI-ის შესაბამისად, ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მსვლელობისას. ამასთანავე:

- ვახდენთ **კონსოლიდირებულ** ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის რისკის იდენტიფიცირებას და შეფასებას, რომელიც შესაძლოა დაშვებულ იქნეს თაღლითობის ან შეცდომის გამო, ვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკების შესაფერის აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი დასკვნის გამოსატანად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. რისკი იმისა, რომ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა არ იქნება აღმოჩენილი, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით დაშვებულის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს მოლაპარაკებას, გაყალბებას, განზრახ ინფორმაციის გამოტოვებას, დამახინჯებას ან დადგენილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას;

- ვსწავლობთ შიდა კონტროლის ფუნქციონირებას ისეთი აუდიტორული პროცედურების შესამუშავებლად, რომლებიც შესაფერისია არსებულ გარემოებებთან და არა იმისათვის, რომ გამოვხატოთ მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტიანად მუშაობის თაობაზე;
- ვაფასებთ აღრიცხვის პოლიტიკის შესაფერისობას და სააღრიცხვო შეფასებების და ხელმძღვანელი პირების მიერ მოწოდებული განმარტებების გონივრულობას;
- დავასკვნით ხელმძღვანელი პირების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობას და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით – არსებობს თუ არა ამ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების უნარში, განაგრძონ ფუნქციონირება. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენ ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ აუდიტორულ დასკვნაში სათანადო განმარტებებზე **კონსოლიდირებულ** ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ასეთი განმარტებები ადეკვატური არ არის, მოვახდინოთ მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტორულ მტკიცებულებებზე, რომლებიც მოპოვებულ იქნა აუდიტის დასკვნის თარიღისთვის. თუმცა, მომავალმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების ფუნქციონირებადობის საკითხი;
- ვაფასებთ **კონსოლიდირებული** ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, აგრეთვე ჯზრუნველყოფს თუ არა **კონსოლიდირებული** ფინანსური ანგარიშგება ოპერაციების და მოვლენების სამართლიანად წარდგენის კრიტერიუმებს;
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა შევძლოთ გამოვხატოთ მოსაზრება **კონსოლიდირებულ** ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და განხორციელებაზე. აგრეთვე ჩვენ სრულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე;
- ხელმძღვანელობას სხვა საკითხებთან ერთად ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, აგრეთვე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი შედეგების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორების ხელმოწერა


ლევან შუბითიძე
უფროსი აუდიტორი

თამუნა ბერუაშვილი
უფროსი აუდიტორი

სალომე კვანტალიანი
აუდიტორი

ხელმოწერა


ლ. შუბითიძე


ტ. ბერუაშვილი


ს. კვანტალიანი

ფინანსური ანგარიშგების ფორმები

ფორმა N1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება (ბალანსი)

N	დასახელება	ანგარიში	31.12.2018	31.12.2017
010	აქტივები			
020	მოკლევადიანი აქტივები			
030	ფულადი სახსრები	1100-1200	165,283,642	158,052,714
040	სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1300	7,341,652	7,790,199
050	სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1400	23,828,653	16,853,754
060	სხვა მატერიალური მარაგები	1620	11,684,576	11,858,819
070	სულ მოკლევადიანი აქტივები		208,138,523	194,555,487
080	გრძელვადიანი აქტივები			
090	გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	1500	8,123	9,323
100	სტრატეგიული მარაგები	1610	-	-
110	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200	9,136,044	8,232,293
120	ძირითადი აქტივები	2100	631,411,818	609,683,365
130	ფასეულობები	2300	-	-
140	არაწარმოებული აქტივები	2400	63,055,498	42,930,352
150	საინვესტიციო ქონება	2500	-	-
160	სულ გრძელვადიანი აქტივები		703,611,484	660,855,333
170	ბალანსი		911,750,007	855,410,820
180	ვალდებულებები			
190	მოკლევადიანი ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები			
200	მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100	134,176,349	119,043,921
210	სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3200	8,078,650	7,575,926
220	სულ მოკლევადიანი ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები		142,254,999	126,619,847
230	გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	3300	3,492,756	5,222,455
240	სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3,492,756	5,222,455
250	სულ ვალდებულებები		145,747,755	131,842,302
260	კაპიტალი		-	-
270	აქტივების წმინდა ღირებულება	5100	498,093,521	468,726,323
280	გაუნაწილებელი მოგება	5220	267,908,731	254,842,194
290	დაუფარავი ზარალი	5230	-	-
300	სულ კაპიტალი		766,002,253	723,568,517
310	ბალანსი		911,750,008	855,410,820

ფორმა N2. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება

N დასახელება	2018 წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო წელი)			2017 წლის 31 დეკემბერი (წინა საანგარიშო წელი)
	საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯე ტო სახსრები	სულ	
010 ბიუჯეტიდან დაფინანსება	200,316,217	-	200,316,217	207,683,742
020 შემოსავლები (030+040+050+060)	11,242,652	167,692,042	178,934,694	167,896,269
030 გადასახადები	-	-	-	-
040 სოციალური შენატანები	-	-	-	-
050 გრანტები	9,757,612	17,639,990	27,397,601	26,102,792
060 სხვა შემოსავლები (070+080+090+100+110)	1,485,040	150,052,052	151,537,093	141,793,477
070 ა) შემოსავლები საკუთრებიდან	-	15,034,521	15,034,521	16,015,654
080 ბ) საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	700,294	131,509,362	132,209,656	118,407,725
090 გ) სანქციები, ჯარიმები, საურავები	696,122	94	696,216	1,145,391
100 დ) ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გარდა გრანტებისა	48,701	74,541	123,242	194,005
110 ე) სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	39,923	3,433,534	3,473,457	6,030,702
120 სულ (010+020)	211,558,869	167,692,042	379,250,911	375,580,011
130 ხარჯები				
140 მომუშავეთა ანაზღაურება	74,222,533	43,735,457	117,957,990	120,608,002
150 საქონელი და მომსახურება	92,020,118	62,745,499	154,765,618	142,160,083
160 ძირითადი კაპიტალის მოხმარება	17,251,920	9,289,843	26,541,763	22,732,551
170 პროცენტი	-	-	-	-
180 სუბსიდიები	-	-	-	-
190 გრანტები	13,254,851	32,168,617	45,423,468	28,590,501
200 სოციალური უზრუნველყოფა	1,582,458	2,717,260	4,299,718	3,384,889
210 სხვა ხარჯები	3,136,582	3,808,051	6,944,633	7,103,450
220 სულ (140+150+160+170+180+190+200+210)	201,468,463	154,464,726	355,933,190	324,579,476
230 ფინანსური შედეგი (120-220)	10,090,406	13,227,315	23,317,721	51,000,535

ფორმა N3. ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება

N დასახელება	საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	მესამე პირის გადახდა	სულ
010 წმინდა ღირებულება/მოგება ზარალი	29,367,199	13,066,537	110,951	42,433,736
020 კორექტირებები: ¹	(2,826,855)	4,161,147	-	1,334,291
030 ცვეთა (+)	17,251,920	9,289,842	-	26,541,762
040 აქტივების (გარდა მატერიალური მარაგებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა) და ვალდებულებების, არაფულადი ოპერაციებით და სხვა მოვლენებით, წმინდა მიღება (-/+) ²	(17,757,211)	(5,535,423)	-	(23,292,634)
050 მატერიალური მარაგების ზრდა/კლება (-/+)	(766,652)	940,896	-	174,244
060 გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები ზრდა/კლება (-/+)	(568,037)	(335,715)	-	(903,752)
070 დებიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (-/+)	(1,663,520)	250,864	-	(1,412,656)
080 კრედიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (+/-)	676,645	(449,317)	-	227,328
090 წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან ³	26,540,343	17,227,684	110,951	43,768,027
100 ფულადი სახსრების ნაკადები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან				
110 არაფინანსური აქტივების გაყიდვა	-	-	-	-
170 არაფინანსური აქტივების შესყიდვა	28,564,585	27,374,177	110,951	55,938,762
180 ძირითადი აქტივები	28,564,585	27,374,177	110,951	55,938,762
190 სტრატეგიული მარაგები	-	-	-	-
200 ფასეულობები	-	-	-	-
210 არაწარმოებული აქტივები	-	-	-	-
220 საინვესტიციო ქონება	-	-	-	-
230 წმინდა ფულადი სახსრები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან ⁴	(28,564,585)	(27,374,177)	(110,951)	(55,938,762)
240 ფულადი სახსრების ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან				
250 წმინდა ფინანსური აქტივები, გარდა ფულადი სახსრებისა	-	-	-	-
260 წმინდა ვალდებულებების წარმოქმნა	307,641	14,824,787	-	15,132,428
270 წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან ⁵	307,641	14,824,787	-	15,132,428
280 ფულადი სახსრების მარაგების წმინდა ცვლილება ⁶	(1,716,601)	4,678,294	-	2,961,693
290 ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისში	4,307,637	153,745,077	-	158,052,714
300 ფულადი სახსრების ნაშთი წლის ბოლოს	3,418,609	161,865,033	-	165,283,642
310 ვალუტა და დეპოზიტებით მიღებული კურსთაშორის სხვაობა (-/+)	-	497	-	497
320 დროებით შეზღუდული თანხები (აკრედიტივები)	-	-	-	-

¹020=030+040+050+060+070+080

ფორმა N4. წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების შესახებ ანგარიშგება

N	დასახელება	(საანგარიშო წელი)		
		საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ
010	საწყისი ნაშთი	468,726,323	254,842,194	723,568,517
020	სააღრიცხვო პოლიტიკის შეცდომები	-	-	-
030	წინა პერიოდ(ებ)ის შეცდომები	-	-	-
040	გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი (010+020+030)	468,726,323	254,842,194	723,568,517
050	არასაოპერაციო შემოსავლები (060+070)	26,989,863	13,647,526	40,637,389
060	კურსთაშორის სხვაობით მიღებული შემოსავალი	65,402	884,715	950,117
070	სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	26,924,461	12,762,811	39,687,273
080	არასაოპერაციო ხარჯები (090+100)	5,917,635	9,535,563	15,453,197
090	კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი	34,361	509,622	543,983
100	სხვა არასაოპერაციო ხარჯები	5,883,273	9,025,941	14,909,215
110	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები (120+130)	1,795,436	4,272,741	6,068,177
120	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებებით	1,795,436	665,816	2,461,252
130	მოგების გადასახადი	-	3,606,925	3,606,925
140	საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგი	10,090,406	13,227,315	23,317,720
150	ნაშთი წლის ბოლოს (040+050-080-110+140)	498,093,522	267,908,731	766,002,253

ფორმა N5. ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება

N დასახელება		დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	გადახრა %	საკასო ხარჯი	გადახრა % საკასო ხარჯსა და დაზუსტ. გეგმას შორის	დარიცხული ხარჯი	გადახრა დარიცხულ და საკასო ხარჯს შორის
010	ხარჯები	150,948,000	168,462,817	11.60	171,751,632	1.95	201,468,461	29,716,830
020	მათ შორის:							-
030	შრომის ანაზღ.	76,010,000	74,320,943	(2.22)	74,223,606	(0.13)	74,222,533	(1,073)
040	არაფინანს. აქტივ. ზრდა	26,952,000	28,333,155	5.12	28,564,585	0.82	-	(28,654,585)
050	ფინანს. აქტივ. ზრდა	-	-		-		-	-
060	ვალდებ. კლება	-	-		-		-	-

საკონტაქტო ინფორმაცია

ანგარიშის ავტორები	ლევან შუბითიძე - Lshubitidze@sao.ge თამუნა ბერუაშვილი - Tberuashvili@sao.ge სალომე კვანტალიანი - Skvantaliani@sao.ge
სხვა თანამშრომლები	ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტის ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის სამსახურის თანამშრომლები: დავით შავგულიძე - სამსახურის უფროსი გირშელ ჭოხონელიძე - მთავარი აუდიტორი კონსტანტინე ობოლაძე - წამყვანი აუდიტორი ლაშა თურმანიძე - სტაჟიორი
ვებგვერდი და სოციალური მედია:	https://sao.ge/ https://budgetmonitor.ge/ka http://blog.sao.ge/ http://www.sai.ge/main/ https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/ https://www.youtube.com/user/saogeorgia https://www.facebook.com/www.sao.ge
ცხელი ხაზი:	(+995 32) 243 81 81
ელექტრონული ფოსტა:	sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, ნმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38